

მერაბ ლალანიძე  
(საქართველო)

**ედვარდ მორგან ფორსტერის „მანქანა ჩერდება“:  
ადამიანი დისტოპიურ იზოლაციაში**

ბრიტანელი მწერლის, ედვარდ მორგან ფორსტერის (E. M. Forster, 1879-1970), დისტოპიური მოთხრობა „მანქანა ჩერდება“ (“The Machine Stops”, 1909)<sup>1</sup>, რომელიც პროზაიკოსის, – თუმცა იმჟამად ჯერ კიდევ ახალგაზრდა პროზაიკოსის, – სამწერლო ნაყოფიერებისა და შემოქმედებითი აღმაშენებლის ხანაშია დაწერილი<sup>2</sup>, აღწერს მომავლის სურათს, როცა დედამიწაზე ყოფნა ადამიანის სიცოცხლისათვის სახიფათოდ იქნა მიჩნეული, რის გამოც მსოფლიოს მთელ მოსახლეობას აეკრძალა ხმელეთის ზედაპირზე ამოსვლა; უკვე რამდენიმე თაობის განმავლობაში ადამიანები თავიანთ ცხოვრებას ატარებენ მინისქვეშეთში, – ცალკეულ, დახშულ, ექვსკუთხედ ოთახებში, – სადაც ყველა იქ მცხოვრები უზრუნველყოფილია საკვებით, ტანსაცმლითა თუ სინათლით და, ასევე, შორეული ტექნიკური კავშირით სხვა ადამიანებთან (მათ შორის, საკუთარი ოჯახის წევრებთან), ხოლო ამ კავშირის მეშვეობით ისინი, სურვილის შემთხვევისას, მარაგდებიან ინტელექტუალური ან ესთეტიკური საზრდოთიც.

ნაწარმოები, ერთი მხრივ, ატარებს პარაბოლურ შინაარსს<sup>3</sup>: აჩვენებს, ზოგადად, ადამიანის მდგომარეობასაც არათავისუფალ გარემოში და ზოგიერთი ცალკეული ადამიანის პირად სწრაფვასაც თუ უნარსაც, დააღწიოს თავი ამ გარემოს; ხოლო, მეორე მხრივ, მოთხრობა ასახავს მწერლისეულ მცდელობას, განჭვრეტილი იქნეს ცივილიზაციის სამომავლო ტექნოლოგიური თუ პოლიტიკური სახე<sup>4</sup>: ტექსტში, რომელიც მეოცე საუკუნის პირველ წლებშია შექმნილი, ნაწინასწარმეტყველება ტელევიზიაც, მობილური ტელეფონიც, ინტერნეტიც, სკაიპიც, სოციალური ქსელებიც, ვირტუალური შეხვედრებიცა და დისტანციური ლექცია-კონფერენციებიც, მაგრამ, ასევე, ნაჩვენებია ვითარება, როცა საერთოდ დამკვიდრებულ თვალსაზრისს, რომ დედამიწაზე ცხოვრება მომაკვდინებელი გამხდარა, პრაქტიკულ შედეგად მოჰყოლია პლანეტის მმართველთა მიერ ადამიანების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სამუდამოდ დაწესებული საყოველთაო კარანტინი. ადამიანის სიცოცხლის გადარჩენის ერთადერთ საშუალებად მიჩნეულია მკაცრი იზოლაცია, რის გამოც არა მარტო სრულიად შეზღუდულია, არამედ, ფაქტობრივად, გაუქმებულია პირადი ადამიანური ურთიერთობანი.

ფორსტერმა ცხადად და შთამბეჭდავად დახატა ის ერთიანად მართული გარემო, რომელიც უჩინარმა მთავრობამ, სახელდებულმა ცენტრალურ კომიტეტად, ავტორიტარულად დაუნესა დედამიწის შიგნით – და არა მის ზედაპირზე – მცხოვრებ მოსახლეობას. თუმცა საქმე ისაა, რომ, საყოველთაოდ, შეუეჭვებლად დანერგილი აზრის მიუხედავად, დანამდვილებით არავინ იცის, მართლა რა ხდება ზემოთ, სუფთა ჰაერზე, თავისუფალ სივრცეში, რომელიც ხელისუფლებამ გამოაცხადა ბიოლოგიურად საშიშ ადგილად: მიწისქვეშეთში მყოფ ადამიანებს მყარად აქვთ ჩაგონებული, რომ ქვესკნელიდან ამოსვლისას მათი სიცოცხლე უთუოდ დაიღუპება. ეჭვი იმის გამო, თუ რამდენად სწორია ამგვარი თვალსაზრისი, როგორც ჩანს, ცოტა ვინმეს თუ უჩნდება, ხოლო თუკი ვინმეს დაებადება, – ზოგიერთ, იშვიათ დაუმორჩილებელ მოქალაქეს, – მათთვის ყველაზე შემზარავ სასჯელად გამოცხადებულია გამოძევება მათი სამუდამო სამყოფლიდან, ანუ გასტუმრება ხელისუფლების მიერ მიჩენილი ექვსნახნაგოვანი საცხოვრებელიდან ზემოთ, ცის ქვეშ, ხმელეთზე.

მწერალი ხედავს და ასახავს მომავლის სურათს, როცა ტექნოლოგიურმა განვითარებამ შესაძლებლობა მისცა მმართველ ძალას, დაკმაყოფილებულიყო ადამიანების ფიზიკური მოთხოვნილებანი და უზრუნველყოფილიყო მათი ფიზიკური უსაფრთხოება, რაც, ფაქტობრივად, განხორციელდა მოქალაქეთა ყოველდღიური ცხოვრების მთლიანად შემონმებისა და დამორჩილების ფასად.

სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ ოთხი ათეული წლის შემდგომ, ჯორჯ ორუელის რომანი „1984“ (George Orwell, “Nineteen Eighty-Four”, 1949) გარდამტეხი აღმოჩნდა მის წინამორბედ ზოგად დისტოპიურ ხედვაში<sup>5</sup>, რომელსაც იმგვარადვე გამოხატავდა ფორსტერიც, როგორც ევგენი ზამიატინიც (Евгений Замятин, “Мы” – „ჩვენ“, 1920)<sup>6</sup> თუ ოლდოს ჰაქსლიც (Aldous Huxley, “Brave New World” – „შესანიშნავი ახალი სამყარო“, 1932) და, რომლის მიხედვითაც, მომავალი ტოტალიტარული რეჟიმი უმტკივნეულოდ აგვარებს ადამიანის ყოფითს საკითხებს; ორუელი, საფიქრებელია, პირველი იყო, რომელმაც თავის ნაწარმოებში, – სავარაუდოდ, სტალინიზმის საბჭოური გამოცდილების გათვალისწინებითაც, – მკაფიოდ აჩვენა, რომ ნებისმიერ ამგვარ რეჟიმს საკუთარი მოქალაქეების თვით მარტივ ყოველდღიურ საჭიროებათა უზრუნველყოფაც კი არ ძალუძს.

რაც შეეხება ტექნოლოგიური წინსვლის კონკრეტული გამოხატულებების ლიტერატურულ თუ, ზოგადად, ფუტუროლოგიურ წინასწარმეტყველებას, როგორც ბოლო საუკუნეების მანძილზე დადასტურდა, ამგვარ წარმატებათა განჭვრეტა, საერთოდ, ადვილი ამოცანა აღმოჩნდა და ამ მხრივ არც ფორსტერის დამსახურებანი საჭიროებს ან მოითხოვს განსაკუთრებულ დაფასებას. ის, რაც აღწერილია მოთხრობაში „მანქანა

ჩერდება“, არც არაფრით ჩამორჩება და არც არაფრით ემიჯნება მოთხრობის ავტორის თუნდაც კიდევ ერთი თანამემამულის, ჰერბერტ უელსის, მომავლისეულ განჭვრეტებს და რამდენამდე ეჯიბრება კიდევ „დროის მანქანის“ (H. G. Wells, “The Time Machine”, 1895) ავტორის მიერ წარმოსახულ სამყაროს. კიდევ მეტი, თავად ფორსტერისავე გვიანდელი აღიარებით, მისი მოთხრობა სწორედ უელსთან კამათს წარმოადგენს (1947 წელს მწერალმა საკუთარი ძველი მოთხრობა გამოაცხადა „უელსისეული ერთ-ერთი სამოთხის მეტოქეობად“<sup>7</sup>). ისიც სათქმელია, რომ მოთხრობის სათაურიც, როგორც ჩანს, შთაგონებული უნდა იყოს უელსის ფართოდ გახმაურებული რომანის სათაურით და მასთან – თუნდაც არაპირდაპირ – შეკამათებას წარმოადგენს.

ცხადია, რომ ფორსტერი, მის თანამედროვეთაგან განსხვავებით, მოდერნიზმის ხანაში დამკვიდრებული შეხედულების საპირისპიროდ,<sup>8</sup> ღრმა ეჭვით აღიქვამს ტექნოლოგიურ შესაძლებლობათა წინსვლას და არ მიიჩნევს მას უებარ საშუალებად ადამიანთა ცხოვრებისა თუ თანაცხოვრების გასაუმჯობესებლად.<sup>9</sup> ის, რაც ნაწარმოებიდან გამოვლინდება, აჩვენებს, რომ სამეცნიერო-ტექნოლოგიურმა წარმატებამ ხელი კი არ შეუწყო ადამიანების უფრო მეტ თავისუფლებას, მათს მეტ განვითარებასა და სულიერ-ინტელექტუალურ ზრდას, არამედ მოიტანა დამორჩილება, შეზღუდულობა და სიმარტოვე.

მოთხრობაში „მანქანა ჩერდება“ აღწერილია დედამიწის შიგნით განსახლებული მარტოხელა ადამიანების ცხოვრება, რომელიც ერთსახონად მიედინება; თითოეული მათგანის ყოველდღიურობა დიდად არაფრით განირჩევა ერთმანეთისაგან და საცხოვრებელი პირობებიც ყველას ერთნაირი აქვს, მაგრამ კანონზომიერია, რომ იქ, სადაც ყველა უზრუნველყოფილია თანაბარი უფლებებითაც და თანაბარი მოვალეობებითაც, აუცილებლად უგულებელყოფილი უნდა იყოს განსაკუთრებული სახასიათო თვისებები, – ის, რითაც ერთი ადამიანი განსხვავდება მეორისაგან. შედეგად, ნებისმიერ სხვადასხვაგვარ გამოვლინებათა შესაძლებლობას სრულიად დაუკარგავს რამე მნიშვნელობა, რაკი, სახელმწიფოებრივ-საზოგადო მიდგომით, „ყურადღება აღარ ექცევა გამონახატულების ელფერს“ (5). საქმე ისაა, რომ სწორედ ეს გამორჩეული გამონახატულება მკაფიოდ ასახავს ადამიანის შინაარსს, მის ბირთვის, მის პიროვნებას, რომელიც ამგვარი მმართველობის პირობებში სრულიად გაუქმებულია: პიროვნების სრული უგულებელყოფის ფასად, ღირებულები ხდება კოლექტივი, ერთიანობა, ხალხი. ასეთი დამოკიდებულება კი გამოვლინდება იმით, რომ საყოველთაოდ აღიარებული და დამკვიდრებულია მხოლოდ „ზოგადი იდეა ხალხის შესახებ, – იდეა, რომელიც სავსებით საკმარისია ყოველგვარი პრაქტიკული მიზნისათვის“ (5-6).

ბუნებრივია, ყველა ის სახელმწიფოებრივი ნყობილება, რომელიც არაფრად მიიჩნევს ცალკეული ადამიანის ღირებულებასა თუ განსაკუთრებულობას, შესაბამისად, გადამწყვეტ ფასს ანიჭებს მოქალაქეთა ერთიანობას, მათს განუყოფელ მთლიანობას, რაც წარმოშობს მოთხოვნას, რომ ყოველი ერთეული ადამიანის სურვილი თუ სწრაფვა განპირობებული უნდა იყოს ამ მთლიანობის, ანუ ხალხის გამოცხადებულ საჭიროებათა მიხედვით. შემთხვევითი არაა, რომ მოთხოვნის ფინალში, როცა მომხდარ კატასტროფას – მანქანის გაჩერებას – მოჰყვება ადამიანების კოლექტიური ცხოვრება შეწყვეტა, მათ უკვე აღარ გააჩნიათ არანაირი უნარი, გადაირჩინონ საკუთარი თავი და, ცალკეულ მცდელობათა მიუხედავად, სავსებით გარდაუვალი ხდება შედეგი: კოლექტიური ცხოვრება მთავრდება კოლექტიური სიკვდილით.

კიდევ ერთი: რაც უფრო ძლიერდება ავტორიტარული მმართველობა, მით უფრო უჩვეულო და მიუღებელი ხდება ახლებური, მანამდე გამოუხატავი, ორიგინალური აზრების გაჩენა თუ გამოთქმა. ერთი „მონინავე“ ლექტორი პირდაპირ აცხადებს: „ერიდეთ ორიგინალურ აზრებს!“ (45). ასეთი მოთხოვნა განპირობებულია უნინარესად იმ ბუნებრივი ვითარებით, რომ ახალი თვალსაზრისის წარმოშობას, ჩვეულებრივ, განაპირობებს უშუალო შეხება, უშუალო განცდა და, ასევე, უშუალო ადამიანური ურთიერთობა, რაც შეუძლებელი გამხდარა იქ, სადაც ადამიანები ჩაკეტილი არიან თავიანთ ექსკუთხედებში. ამიტომაც ეს „პროგრესული“ ლექტორი ამგვარად მოუწოდებს თავის შორეულ, ფიზიკურად მიუწვდომელ მსმენელებს: „ისარგებლეთ მეორადი იდეებით და თუკი შესაძლებელია, მიიღეთ ისინი მათე ხელიდან, რადგან ამ შემთხვევისას ისინი უფრო მეტად იქნება დაშორებული ისეთი დამაბრკოლებელი საწყისიდან, როგორცაა უშუალო დაკვირვება“ (45). მას იმედი აქვს, რომ „მოვა თაობა, რომელიც საბოლოოდ მოსწყდება ფაქტებს, მოსწყდება შთაბეჭდილებებს; მოვა სრულიად უფერული თაობა, რომელიც, სერაბიმთა მსგავსად, თავისუფალი იქნება პიროვნულობის მანკისაგან“ (46). რათქმა უნდა, უარის თქმა პიროვნებაზე და, შესაბამისად, პიროვნულობაზე, ანუ განსაკუთრებულობასა და განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე განაპირობებს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი უნარების საყოველთაო დაშრეტასა თუ ამონურვას, მაგრამ საქმე იქამდე მისულა, რომ საჯაროდ აუცილებელიც კი გამხდარა, დაიგმოს ყოველგვარი სიახლე თუ უჩვეულობა. როდესაც ყველა თანაბარი და ერთნაირია, გამორჩეულობა უკვე უხერხულია; სადაც ყველა ერთნაირად ცხოვრობს და ფიქრობს, სხვაგვარობა ცხადად გამომწვევია. ამ დროს არა მარტო ობიექტურად დამდგარა ბერნი ხანა, როცა შემოქმედება თანდათანობით სულს ლაფავს ან როცა შექმნა-შემოქმედების უნარი ხილულად ინრიტება, არამედ სწო-

რედ ეს მდგომარეობა გადაქცეულა ცხოვრების წესად და ცხოვრებისეულ მოთხოვნად.

მაინც, ცალკეული ადამიანების სწრაფვა ინტელექტუალური საზღვრდოს მოსაპოვებლად მიწისქვეშეთში კმაყოფილდება მოკლე და ზერე-ლე ლექციებით, რომლებიც დაახლოებით ათ წუთს გასტანს ხოლმე და სრულიად სხვადასხვა საკითხის შესახებ აწვდის მსმენელს მეტად მწირ ცნობებს. ეს მსმენელები ლექტორ-მიმომხილველთა მხოლოდ გამოსახულებას ხედავენ და მხოლოდ მათს ხმას ისმენენ. მასწავლებელსა და მონაფეს შორის პირადი კავშირის საშუალება, ცოდნისა და გამოცდილების გადაცემის განუმეორებელი შესაძლებლობის პირობები წარსულს ჩაჰბარებია. კიდევ, ლექციების გარდა, მოქალაქეებს მუდმივად მიენოდება მექანიკურად ჩართული მუსიკა, რომელთანაც მათ ისევ არ აკავშირებთ არავითარი პირადული განწყობა, თუმცა ადამიანის უმცირესი ესთეტიკური მოთხოვნილება თუნდაც ამგვარად კმაყოფილდება.

ამას გარდა, ქვესკნელში ჩასახლებული ადამიანი სხეულებრივად იმყოფება სრულიად მარტო, რაკი იგი გამიჯნულია ყველა სხვა ადამიანისაგან, რომლებთანაც, – თავისნაირებთან, – მას ფიზიკური სიახლოვის, მათთან მიკარების არანაირი შესაძლებლობა აღარ დარჩა, რადგან „ადამიანები აღარ ეხებოდნენ ერთმანეთს. ეს ჩვეულება – მანქანის გამოისობით – უკვე გადავარდნილიყო“ (21). ამ გარემოში მიწისქვეშეთის მოქალაქეები ურთიერთობენ მხოლოდ ტექნოლოგიურად (და არა პიროვნულად, სულიერად, ემოციურად, ან თუნდაც ფიზიკურად!), ხოლო, რაკი მათ სხვებთან დაკავშირების ეს ერთადერთი არხი მოეპოვებათ, ისიც ადვილად აენწყობა, რომ დაუბრკოლებლად გამრავლდეს სწორედ ტექნოლოგიურ ნაცნობთა რაოდენობა, რომელთა რიცხვი ათასობით ითვლება, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ერთმანეთს არც არასოდეს შეჰხვედრიან პირადად (ამ შემთხვევისასაც ფორსტერი წინასწარმეტყველებს ფეისბუკისა თუ ინსტაგრამ-ტვიტერის ტიპის სოციალური ქსელების საჯარო ურთიერთობებს): „იგი იცნობდა რამდენიმე ათას ადამიანს, – ადამიანური ურთიერთობები, გარკვეული მიმართულებით, უზომოდ წავიდა წინ“ (2). მაგრამ ეს წინსვლა, ნაცნობთა რაოდენობრივი ზრდა სულაც არ გულისხმობს პირად, პირისპირ, ერთეულად განდობილ კავშირს, რაკი ამ ჩაკეტილ სივრცეში მარტო ყოფნა და მხოლოდ საკუთარ თავთან დარჩენა, საერთოდ, შეუძლებელს ხდის ნამდვილ მეგობრობას ადამიანთა შორის. ქვესკნელში მცხოვრებს შორეული კავშირი აქვს ათასობით სხვასთან, მათთან ყოველგვარი შეხების გარეშე, მაგრამ იგი – ამიტომაც – ნამდვილად სრულიად მარტოა. მოქალაქეები აღარც ხვდებიან ერთმანეთს და აღარც იკრიბებიან ერთად: „ადამიანების საჯარო თავყრილობათა ტლანქი სისტემა კარგა ხანია გაუქმდა“ (9). ამდენად,

ექვსკუთხედში მყოფს ორი არჩევანი დაჰრჩენია: იგი ან არის ყველასთან, ჩართული საჯარო ქსელში, ან არის ეულად, რაკი იგი ყოველმხრივ შეზღუდულია მიჩენილი ფარგლებით – ირგვლივ განლაგებული მყარი კედლებით. მტკიცედ ჩამოყალიბებული ასეთი ვითარებისას ორი ადამიანური არსების ფაქიზი და იდუმალი კავშირი, ერთი მათგანის მიერ საკუთარი სასიხარულოსა თუ საკუთარი სანუხარის მეორე მათგანისათვის, მხოლოდ გულითადი ახლობლისათვის გაზიარების გამორჩეული შესაძლებლობა უკვე სავსებით გამქრალა. ის ნამიერი ცვლილებანი და განწყობათა მონაცვლეობა, რაც თვალთ უხილავია, მაგრამ რაც მხოლოდ ახლობელი ადამიანისათვისაა ხილული, უკვე მოძველებულ გადმონათადაა აღიარებული. არავითარი მნიშვნელობა აღარ ენიჭება გარეშე მზერისათვის „შეუმჩნეველ შეგრძნებებს, რომელთაც ყავლგასული ფილოსოფია ადამიანურ ურთიერთობათა ნამდვილ არსად აცხადებდა“ (6). მოკლედ, წარმოსახული კავშირები მრავლდება, მაგრამ თვალსაწიერიდან გამქრალა ნამდვილი, ხელშესახები მეგობარი. თვით მშობლისა და შვილის ურთიერთკავშირი, ფაქტობრივად, მთავრდება მაშინვე, როცა იბადება თოთო ჩვილი, რომელსაც ხელისუფლება დაუყოვნებლივ ჩამოართმევს დედას და რომელიც მაშინვე მიეკუთვნება დადგენილ სახელმწიფოებრივ მზრუნველობას: „მშობელთა მოვალეობა ნყდება ბავშვის დაბადების უმაღ“ (14). მოთხრობის მიხედვით, ამიტომაც ცხადია, რომ მოქალაქეობრივად სანიმუშო ვაშტი სრულიად გულგრილია საკუთარი შვილის მიმართ, ხოლო მმართველობის წინააღმდეგ ამბოხებული და სხვათაგან – მათ შორის, საკუთარი დედისაგან – განსხვავებული კუნო მეტად ღირებულ გრძნობად რაცხს თავის ემოციურ მიჯაჭვულობას საკუთარი დედის მიმართ, რომელთანაც ახლოს ყოფნა და რომლის რჩევა თუ დახმარება, როგორც თავად მიიჩნევს, მას ნამდვილად სჭირდება და გამოადგება.<sup>10</sup> რა თქმა უნდა, ხელისუფალთა თვალსაზრისითაც, ადამიანების ასეთი დაშორიშორება ამკარად ხელსაყრელია მათ მიმართ მეთვალყურეობის დასანესებლადაც და მათი ქმედებების სამართავადაც.

თუმცა, რაკი მოქალაქეთა გადამწყვეტი უმრავლესობა, როგორც ჩანს, სულაც არ უპირისპირდება დამკვიდრებულ წესწყობილებას, საფიქრებელია, რომ ამგვარი ცხოვრება მათთვის არა მარტო სავსებით ჩვეულებრივი გამხდარა, – მოსახერხებელიც და მისაღებიც, – არამედ ეს ვითარება მათ სიმშვიდესა და კმაყოფილებას ანიჭებს: ისინი, ერთი მხრივ, უზრუნველყოფილი არიან სხეულებრივი უსაფრთხოებით, ხოლო, მეორე მხრივ, მათ თავი დაუღწევიათ როგორც თავისუფალი არჩევანისა და საკუთარი, პირადი გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობისაგან, ისე ამ შესაძლებლობასთან დაკავშირებული ყოველგვარი საშიში რისკისაგან.

ადამიანის ცხოვრება ბოლოს და ბოლოს მონესრიგებული, მაგრამ ერთფეროვანი და ყოველგვარი მოულოდნელობისაგან დაცული გამხდა-

რა: “მან ჩააქრო სინათლე ოთახში და დაიძინა; მან გაიღვიძა და ანთო სინათლე; მან შეჭამა და აზრები გაუცვალა თავის მეგობრებს, და მან მოუსმინა მუსიკას და დაესწრო ლექციებს; მან ჩააქრო სინათლე ოთახში და დაიძინა“ (11).

სამყაროშიც კი აღარაფერია ახალი, ახლებური, განსხვავებული, რასაც შეეძლებოდა, გაეღვივებინა რამეგვარი ცნობისწადილი, რადგან ყველგან იქ, სადაც მოქალაქის შორეული მზერა მისწვდება, არა მარტო ადამიანები და მათი ცხოვრებაა სრულიად მსგავსი, არაფრით გამორჩეული, არამედ მთელი ბუნებრივი გარემოც კი ერთნაირი გამხდარა: „მეცნიერების განვითარების წყალობით, ქვეყნიერება ყველგან ზუსტად ერთნაირი იყო“ (14).

ამიტომ აღარც ადამიანს იზიდავს, თუ რა ხდება მისგან მოშორებით და იგი სავსებით სჯერდება საკუთარი ექვსკუთხედის შეზღუდულ, მაგრამ დაზღვეულ სივრცეს. უფრო მეტი, მას აღიზიანებს კიდევ იმის ცოდნა ან ნახვა, თუ რა ხდება მისი ამ შეჩვეული გარემოს მიღმა. მას აძრწუნებს შეხება არა მარტო სხვასთან (“იგი მოიქცა ბარბაროსულად, გაუნოდა მას ხელი დაცემისაგან შესაკავებლად. „როგორ ბედავთ?!“, შესძახა მგზავრმა, „თავი შეიკავეთ!“ – 20), არამედ პირისპირ, უშუალოდ დარჩენაც გარემომცველ სინამდვილესთან, რაც უკვე ქცეულა „უშუალო გამოცდილების ძრწოლად“ (12), ან „უშუალო გამოცდილების საშინელეზად“ (16). შესაბამისად, აღარც არავის სწადია მოგზაურობა და რამე ახლის ან უცნობის შემეცნება საკუთარი სურვილით („ცოტა ვინმე თუ მოგზაურობდა იმ დროს“ – 14). ადამიანი გაურბის მზისა და ცის, ზღვისა და მთების უშუალოდ ნახვას (და, სხვათა შორის, არც თვითმფრინავის სარკმლიდან დანახული კავკასიონის მთები იზიდავს მას: „არავითარი აზრი არა აქვს“, – ჩაიბურტყუნა ვაშტიმ და კავკასიონი რკინის ფარდით დამალა“ – 24).

მართალია, მინისქვეშეთში ყველა გადანყვეტილებას იღებს და ახორციელებს ცენტრალური კომიტეტი, რომლის ძალაუფლება სულ უფრო ყოვლისმომცველი ხდება, მაგრამ ის, ვინც მინისქვეშეთის ცხოვრებას წარმართავს, – ის, ვინც უზენაესი მმართველია, – მექანიკური მანქანაა, რომელიც თავის დროს შექმნილია ადამიანთა მიერ („ადამიანებმა შექმნეს ის [...]. დიადმა ადამიანებმა, თუმცა მაინც ადამიანებმა“ – 4). თანდათანობით სწორედ მანქანამ შეძლო ადამიანთა ყველა სხეულებრივ-ნივთიერი საჭიროების დაკმაყოფილება, თუმცა, ამასთანავე, მანქანამვე შეძლო ყოვლისგამჭოლი მეთვალყურეობის დაწესება ყველა მოქალაქის ყოველდღიური საქმიანობის სათვალთვალად. მანვე განსაზღვრა მინისქვეშეთში მცხოვრებთა ცხოვრების წესი და დაადგინა შესაბამისობა ფასეულობათა ასათვლელად („ეს ეწინააღმდეგება დროის სულს“, მტკი-

ცედ განაცხადა მან. „რას გულისხმობ, ენინააღმდეგება მანქანას?“ – 7). მანქანა მსჭვალავს ყოველივეს და არასოდეს ტოვებს ადამიანს, ყოველთვის მასთანაა. მანქანის მუდმივ თანაყოფნას გამოხატავს მისი გუგუნის თითქოს შეუმჩნეველი, მაგრამ დაბადებიდანვე მუდამ თანამდევი: „მის ზემოთ, მის ქვეშ, მის ირგვლივ მარად გუგუნებდა მანქანა; იგი ვერ ამჩნევდა ხმას, რადგან ეს ხმა მას დაბადებიდან ესმოდა ყურებში“ (11).

მანქანამ ჩამოაყალიბა ახლებური, სხვაგვარი სამყარო, განსხვავებული იმისაგან, სადაც მანამდე ადამიანი სახლობდა, – სამყარო ზეცისა და ხმელეთის გარეშე, ადამიანთა შეხვედრისა და შეხების გარეშე, მუდმივ ძიებათა თუ ახალი ცოდნის მოპოვების სწრაფვის გარეშე.

ადამიანმა თავადაც სრული ნდობა გამოუცხადა მანქანას და მას მიანდო მთელი ცხოვრების გაძღოლა, მას ჩააბარა გადწყვეტილების მიღების ნება და საკუთარი ყოველდღიური ყოფნის სრულად წარმართვის უფლება, – დაბადებიდან სიკვდილამდე, თვით სიკვდილის დროის დადგენამდე („იგი ხანდახან ითხოვდა, მიეცათ მისთვის ევთანაზიის უფლება. მაგრამ სიკვდილიანობა არ უნდა გადამეტებოდა შობადობას, რაც აკრძალული იყო, რის გამო მანქანა ჯერჯერობით უარყოფით პასუხს იძლეოდა“ – 50).

მანქანის ერთგული ადამიანები დარწმუნებული არიან, რომ ისინი მანქანამ რელიგიისაგან გაათავისუფლა, რომ მათ, „პროგრესის“ თაყვანისმცემლებს, აღარაფერი აკავშირებს წარსულის ცრურწმენებთან, ანუ იმასთან, რადაც ისინი რელიგიურ შეხედულებებს მიიჩნევენ. ამიტომაც ამბობს ამგვარი თავდაჯერებით ვაშტი: „მე მეტად პროგრესული ვარ. არა მგონია, რომ შენ არარელიგიური ხარ, მაგრამ ისეთი რამ, რაცაა რელიგია, ხომ აღარ არსებობს. ყველა არსებული შიში და ცრურწმენა უკვე დაამსხვრია მანქანამ“ (27). ამ თვალსაზრისით (გავრცელებული თვალსაზრისით!), ადამიანის რელიგიურობას განაპირობებს შიში, ან კიდევ, მოვლენათა არსის უცოდინარობა, ხოლო რაკი შიში დაძლეულია (მანქანის მფარველობით), ხოლო საყოველთაო ცოდნა მოპოვებული და ხელმისაწვდომია (თუნდაც გამოსახულებითი ლექციების სახით), რელიგიის ადგილი აღარსად დარჩენილა.

მაგრამ, ამავე დროს, ღირსშესანიშნავია, რომ მინისქვეშეთელთა გამორჩეულად მონინებულ დამოკიდებულებას მანქანის მიმართ ცხადად მიუღია რელიგიური თაყვანისცემის სახე, რაც ბოლოს და ბოლოს მთავრდება რელიგიის აღდგენით, ანუ მანქანის მიმართ სარწმუნოებრივი მონინების დამკვიდრებით. ამ თვალსაზრისით, შთამბეჭდავია მანქანის მიმართ აღვლენილი სადიდებელი: „მანქანა, – აცხადებდნენ ისინი, – გვასაზრდოებს და გვაცმევს და გვაძლევს საცხოვრებელს; მისი საშუალებით ველაპარაკებით ერთმანეთს, მისი საშუალებით ვხედავთ ერთ-



მანეთს, მისი წყალობით ვარსებობთ. მანქანა ჩვენი იდეების მეგობარია და ცრურწმენების მტერია. მანქანა ყოვლისმპყრობელი და მარადიულია; კურთხეული იყოს მანქანა!“ (47-48).

შედეგად, მოქალაქენი მადლიერნი არიან, რომ მანქანა არსებობს და რომ ის მათზე ზრუნავს, რის გამო მას ეთაყვანებიან, უჯერებენ, სთხოვენ დახმარებას, მისი განსაკუთრებული იმედი აქვთ.<sup>11</sup> ყოველივე ის, რაც ეწინააღმდეგება მანქანისეულ დადგენილებებს, მიჩნეულია არარელიგიურობის გამოვლენად და გამოცხადებულია ღმრთისგმობად (რაც ლამის დაუჯერებლად ჩანს იქ, სადაც რელიგია თითქოს უკვე გაუქმებული იყო), ხოლო რამე ასეთი ნიშნების გამოაშკარავება ყოველთვის მკაცრად, სანიმუშოდ ისჯება. ამიტომაც უხსნის კუნო დედამისს, ვაშტის, რომელიც ისევე განსჯის, როგორც მიწისქვეშეთის მმართველობა: „შენ გგონია, რომ მე არარელიგიური ვარ, რაკი გარეთ გასასვლელად ჩემს საკუთარ გზას მივაგენი. ეგ სწორედ ისაა, რის გამოც კომიტეტს მიაჩნია, რომ მე უნდა დავისაჯო უსახლკარობით“ (26).

შესაძლოა, დაუბრკოლებლად ითქვას, რომ, ფაქტობრივად, მანქანას ჩაუნაცვლებია ღმერთი, ხოლო ღმრთის რწმენა მანქანის რწმენით შეცვლილა.

რა თქმა უნდა, ამ შემთხვევისას აუცილებლად გასათვალისწინებელია მითოსისა და მითოსურ სახეთა მნიშვნელობა, საერთოდ, ფორსტერის შემოქმედებაში,<sup>12</sup> რომელიც ნამდვილად ყოველთვის განმსჭვალულია, თუნდაც მეტად შეფარულად და ძნელად ამოსაცნობად, ღრმა სიმბოლური გამოხატულებებით (იმ ნაწარმოებებშიც კი, რომლებიც, ერთი შეხედვით, ეპოქის ოდენ რეალურ-რეალისტურ სურათს ასახავს).

ღმრთის მაგივრად მანქანის თაყვანისცემა, როგორც ჩანს, სიმბოლურ შინაარსს შეიცავს, რადგან, ბიბლიურ-ქრისტიანული ტრადიციით, მანქანის საქმიანობას წარმართავს არა ღმერთი, არამედ ეშმაკი, – როგორც ადრეული, ისე გვიანდელი ქრისტიანული სახისმეტყველების მიხედვით, მანქანა ეშმაკის ხელსაწყოა.<sup>13</sup>

შესაბამისად, სრულიად კანონზომიერია, რომ მანქანა მართავს ქვესკნელს, – იმავე ქრისტიანული ტრადიციით, ეშმაკისეულ სამფლობელოს, – სადაც, მოთხრობის შინაარსიდან გამომდინარე, მთელი დედამიწის მოსახლეობა ჩადევნილი და მოთავსებულ-განლაგებული. ამას გარდა, რაკი ეშმაკი ყოველთვის „სიცრუის მამაა“,<sup>14</sup> ბუნებრივი აღმოჩნდა ისიც, რომ ის აზრები, რომლებითაც აღავსეს იქ მცხოვრებნი, ტყუილი ყოფილა, – თუნდაც ის დამკვიდრებული რწმენა, რომ მიწისქვეშეთის მიღმა, ანუ ზემოთ ადამიანს სიცოცხლე არ ძალუძს.

ნიშანდობლივია, ადამიანები იმის აღიარებასაც კი ვერ ბედავენ, რომ მანქანა თანდათანობით კარგავს ძალმოსილების უნარს. ხოლო როცა

ერთ დღეს, მოთხრობის აპოკალიფსურ ფინალში, მანქანა გაჩერდება და ადამიანები უპატრონოდ, ანუ უმანქანოდ დარჩებიან, დგება საყოველთაო განწირულობის ხანა. უსაფრთხოებისა და მიწიერი უზრუნველყოფის დაპირებანი ფუჭი აღმოჩნდა. ადამიანების სრულ მინდობას მანქანის მიმართ, – საკუთარი ნებისა და სწრაფვების ფასად, – შედეგად მათი დაღუპვა მოჰყვა.

ადამიანებს მივიწყებული, გამოცლილი ჰქონდათ დამოუკიდებლად ყოფნის უნარი; ისინი გადაჩვეული იყვნენ, თავად აეღოთ პასუხისმგებლობა, რომელიც მათ მანქანას გადააბარეს. შედეგად, როგორც კი მანქანა მოიშალა და შემდგომ, საერთოდ, გაჩერდა, ისინი სრულიად უძლური აღმოჩნდნენ, თავად ეპოვათ ხსნა განსაცდელიდან, – ეპოვათ გამოსავალი მდგომარეობიდან და გამოსასვლელი ქვესკნელიდან, – გადაერჩინათ საკუთარი თავი.

ღირსშესანიშნავია, რომ მანქანის ნების გასაგებად არსებობს საგანგებო, განსაკუთრებული წყარო: მინისქვეშეთში ყოველ მცხოვრებს აქვს წიგნი მანქანის შესახებ, – საერთოდ, ერთადერთი ნებადართული წიგნი, რომელიც „გამოსცა ცენტრალურმა კომიტეტმა“ (10) და რომელიც ყოველ ექვსკუთხედში უნდა იყოს. მასში მოცემულია პასუხები ყველა შესაძლო შეკითხვაზე და მითითებები ყველა შესაძლო შემთხვევის გადასაჭრელად, მასში ჩადებული და გაცხადებულია მანქანის ყველა სურვილი. შეიძლება ითქვას, რომ წიგნი მანქანის სიტყვიერი გამოხატულება და გამოვლინებაა.

ამ დროს ადამიანები ცოდნას უკვე აღარ იძენენ ძველი წიგნების საშუალებით, რაკი ისინი უკვე საჭირო აღარაა და უსარგებლო გამხდარა (ცოდნის მოსაპოვებლად შორეული ლექციებიც საკმარისია!), ხოლო ცხოვრების მიმართულებას იძლევა წიგნი მანქანის შესახებ: „მრავალსაუკუნოვანი მაკულატურისაგან დარჩა ერთადერთი წიგნი“ (10), რომელშიც დაცულია ჭეშმარიტი სწავლება და რომლის უცდომლობის გამო რამე ეჭვის გამოთქმა მიუღებელია. მაგრამ ამ წიგნით ადამიანები არა მარტო საქმიანად სარგებლობენ ნებისმიერი ჭოჭმანისას თუ შეჭირვებისას, არამედ ეთაყვანებიან კიდეც მას, როგორც მანქანის ნება-სურვილის გამომჟღავნების ნივთიერ დადასტურებას: „იგი ჩურჩულებდა: „მანქანა, მანქანა“ და ტომს ტუჩებით შეეხო. სამჯერ აკოცა წიგნს, სამჯერ დახარა თავი მის წინაშე“ (10). რაკი არსებობს წიგნი, მკაფიოდ შეიგრძნობა ყოფნის დაცულობის განცდა: „სანამ იყო წიგნი, იყო უსაფრთხოება“ (58). მანქანასთან ადამიანის მუდმივი, უწყვეტი კავშირის სიმყარეს განაპირობებს წიგნი მანქანის შესახებ, ქვესკნელის მცხოვრებთა მუდმივი, კრძალვითი ურთიერთობა ამ წიგნთან.

ნიშანდობლივია, რომ მას შემდეგ, რაც უჩუმრად აღდგა რელიგია, – თუმცა ამას საჯაროდ მაინც არ აცხადებდნენ, – რაც მანქანის საყოველთაო და სავალდებულო თაყვანისცემაში გამოიხატა, წიგნის პირველ გვერდზე დაიბეჭდა მანქანის სადიდებელი, რომელიც თანდათანობით, „შემდგომ გამოცემებში გაფართოვდა სადიდებელთა და ლოცვათა რთულ სისტემად“ (48).

ცნობილია ფორსტერის, ზოგადად, უარყოფითი დამოკიდებულება რელიგიისა და რელიგიურობის ყოველგვარი გამოვლენის მიმართ.<sup>15</sup> მწერალს მიაჩნდა, და ეს შეხედულება საჩინოდაა ასახული მის სხვადასხვა ნაწარმოებში, რომ პიროვნების გათავისუფლების აუცილებელი პირობაა რელიგიისაგან გათავისუფლება და რომ ისიც იმგვარივე ხუნდებია ადამიანისათვის, როგორც ნაციონალური, ეთნიკური, სოციალური თუ სექსუალური ჩაკეტილობანი.<sup>16</sup> თუმცა მოთხრობა „მანქანა ჩერდება“ ცხადად ასახავს იმ საფრთხეს, თუ როგორი განსაცდელი მოჰყვება გამოგონილი, ტექნოლოგიური, შექმნილი ღმრთის მეშვეობით რეალური სულიერი სამყაროსაგან მონყვეტის მცდელობას: რომ ამ შემთხვევისას, – ნამდვილი ღმრთის უარყოფისა და დაკარგვისას, – ადამიანი კარგავს სხვა ადამიანსაც და საკუთარ ადამიანურ თვისებებსაც კი.

ნაწარმოებში, ფაქტობრივად, ორი პერსონაჟია, რომელთაც სისხლისმიერი ერთიანობა აკავშირებთ, მაგრამ, ამავე დროს, ისინი მკვეთრად უპირისპირდებიან ერთმანეთს: ერთი მხრივ, დედა, რომელიც უმთავრესად ლექციების ჩატარებითაა დაკავებული (მაგალითად, მან უნდა გააცნოს მსმენელებს „ავსტრალიური პერიოდის მუსიკა“ – 2), ხოლო, მეორე მხრივ, მისი ვაჟი, კუნო, რომელიც ცდილობს, თავი დააღწიოს მანქანის ბატონობას, არ დასჯერდეს ექვსკუთხედში მშვიდ, უზრუნველ ცხოვრებას და საკუთარი გზა იპოვოს ახალი სამყაროს, – რაც მისთვის დედამიწის ზედაპირია, – ჯერ აღმოსაჩენად, მისკენ გზის საპოვნელად, ხოლო შემდეგ – მის მოსანახულებლად.

დედა-შვილის განსხვავებულობა უწინარესად განპირობებულიცაა და გამოხატულიცაა მათი დამოკიდებულებით მანქანის მიმართ. ნიშანდობლივია, რომ ვაშტის, მანქანის გულწრფელ თაყვანისმცემელს, საერთოდ, არც კი ესმის მისი გუგუნი, რადგან ამ შეთვისებული ხმის გარეშე ცხოვრება ვერც წარმოუდგენია, ხოლო კუნო თავად აღმოაჩენს, რომ „მანქანა ზუზუნებს“ (32) და მას აფორიაქებს, სიმშვიდეს უკარგავს, რომ „მისი ზუზუნი განმსჭვალავს ჩვენს სისხლს, და შესაძლოა, წარმართავს ჩვენს ფიქრებს. ვინ იცის!“ (32). ამიტომაც, რაკი კუნოსათვის მომაბეზრებელია ეს ზუზუნიც და ექვსკუთხედის ერთფეროვანი, უცვლელი ყოფაც, იგი გადაწყვეტს, თავი დააღწიოს მანქანის ბატონობას და იპოვოს უფლება, თავად განვლოს საკუთარი ცხოვრება.

ვაშტი განმსჭვალულია მონინებითა და აღტაცებით მანქანის მიმართ, დაუბრკოლებლად იღებს მანქანის (ან ცენტრალური კომიტეტის) მიერ დადგენილ ყოველ განწესებას, მისი ერთადერთი მრჩეველია წიგნი მანქანის შესახებ, იგი არაფერს ეძებს მინისქვეშეთს მიღმა და თვალს არიდებს შემთხვევით თვალმოკრულ დედამიწის ზედაპირს, მას უწევს ყურადღების დაძაბვა, რათა უნებლიეთ არ შეეხოს ვინმეს (მათ შორის, არც საკუთარ შვილს: „იგი იმდენად კარგად იყო აღზრდილი, რომ მისთვის ხელი არ ჩამოერთმია“ – 25).

კუნო უნდობლობას იჩენს მანქანის მიმართ და მუდამ ახსოვს, რომ ის ადამიანის შექმნილია, იგი სულაც არ ემორჩილება მის დადგენილებებს და იმ ყველაზე დიდი სასჯელის საფრთხესაც არ გაურბის, გამოასახლონ საცხოვრებელიდან. მანქანისეული წესწყობილების წინააღმდეგ აჯანყებული კუნო ასე განსჯის: „ჩვენ ყველანი ვკვდებით, ხოლო ერთადერთი საგანი, რომელიც აქ, ქვემოთ, ნამდვილად ცოცხლობს, მხოლოდ მანქანაა. ჩვენ შევქმენით მანქანა საკუთარი ნების აღსასრულებლად, მაგრამ ახლა უკვე ვეღარ ვახერხებთ, ვაიძულოთ ის, დაემორჩილოს ჩვენს ნებას. მან წაგვართვა უნარი, შევიგრძნოთ სივრცე და შევიგრძნოთ შეხება, მან გადღაბნა ყოველი ადამიანური ურთიერთობა და დაიყვანა სიყვარული სქესობრივ კავშირამდე, მან დაადამბლავა ჩვენი სხეულები და ჩვენი სურვილები, და ახლა კი გვაიძულებს, რომ ვეთაყვანოთ კიდეც მას“ (38).

შესაძლოა, მიჩნეული იქნეს, რომ, მოთხრობის სიმბოლური განზომილებით, ვაშტი, როგორც „პროგრესულად მოაზროვნე“ (44), ყოველთვის გამოხატავს კოლექტივის ერთიან ნებას, იღებს და იზიარებს მის „ღირებულებებს“, მკაფიოდ ახორციელებს საყოველთაოდ მიღებულ წესებს და სხვებსაც – მათ შორის, საკუთარ შვილსაც – მოუწოდებს მათი დაცვისა და აღსრულებისაკენ; ხოლო კუნო ინდივიდუალისტი მემბოხება, რომელიც სავსებით გულგრილია კოლექტიური აზრის მიმართ და, სიცოცხლის ფასადაც კი, მზადაა, დაუპირისპირდეს საყოველთაოდ დამკვიდრებულ შეხედულებებსა თუ მოთხოვნებს.

კუნოს ეყო ნებელობის ძალა, დაეტოვებინა თავისი სამყოფელი და, სასიცოცხლო საფრთხის მიუხედავად, უჩუმრად გაპარულიყო ახალი სივრცის აღმოსაჩენად.

ზემოთ, ხმელეთზე ამოსულ კუნოს ბევრი სიახლის აღმოჩენა ერგო. თუკი მანამდე მიჩნეული იყო, რომ, ვინც დედამიწის ზედაპირზე სასუნთქი პირბადის გარეშე ამოვა, უეჭველად დაიღუპება, იგი უპირბადოდაც ინარჩუნებს სიცოცხლეს, როცა იგი მას – შემთხვევით თუ ნიშნულად – დაკარგავს („მზის ჩასვლისას მე ძირს დამივარდა სასუნთქი პირბადე“ – 40; „სასუნთქი პირბადე დაკარგულიყო“ – 41). როგორც ცხადი გახდება, პირბადე მხოლოდ საკავშირო-საძიებო საშუალება ყოფილა, რომლის

მეშვეობითაც ცენტრალური კომიტეტი დაუმორჩილებელი, გაქცეული მოქალაქეების პოვნასა და მიწისქვეშეთში მათს დაბრუნებას ახერხებს. მოგვიანებით, როცა, საერთოდ, აიკრძალება პლანეტის ზედაპირზე ნებისმიერი ასვლა (სხვათა შორის, ვაშტის მხარდაჭერითაც – 44), პირბადეებიც გაუქმდება, რაკი ისინი, საერთოდ, უსარგებლო და უშინაარსო გახდება განმარტოებულ ექვსკუთხედებში.

კუნო, ასევე, ცხადად დარწმუნდება, რომ დედამიწის ზედაპირზე ცხოვრება სავსებით შესაძლებელია და რომ იქ ყოფნა არ ყოფილა მომაკვდინებელი ადამიანისათვის; კიდევ მეტი, იგი გაკვირით იმასაც ამბობს, რომ ხმელეთზე მას დახვდნენ ადამიანები, მანქანის ბატონობისაგან თავისუფალნი, მისთვის საყვარელნი, რომლებიც მანქანისეული ძალაუფლების დასასრულს იმედიანად ელოდებიან. მოთხრობის ბოლოს, როცა მანქანა გაჩერდება, რის გამოც კუნოსა და ვაშტის სიცოცხლეს უნდა დამთავრდეს, შვილი დედას გაუმხელს მანამდე მისთვის უთქმელ საიდუმლოს: „მე ვნახე ისინი, დაველაპარაკე მათ, შევიყვარე ისინი. ისინი იმალებიან ნისლში და გვიმრებში მანამ, სანამ ჩვენი ცივილიზაცია არ გაჩერდება. დღეს ისინი უსახლკარონი არიან, მაგრამ ხვალ...“ (62).

ღირსშესანიშნავია, რომ სწორედ კუნოა პირველი, – ოღონდ არა „პროგრესული“, არამედ სხვებზე შორსმჭვრეტელი, სხვებთან შედარებით გონებითა და გამოცდილებით წინ წასული, – ვინც ყველაზე ადრე შენიშნავს, რომ „მანქანა ჩერდება“ (50). თანდათანობით, მაგრამ შემდგომ და დამლუპველად დაგვიანებით, ამ სინამდვილის აღიარება მთელი მიწისქვეშეთის მოსახლეობას უწევს, როცა ადამიანები სიცოცხლის გადასარჩენად თავიანთი ექვსკუთხედებს შეშფოთებული ტოვებენ და მიწისქვეშეთიდან გამოლწვენას ლამობენ.

მოთხრობის ბოლოს თითქოს ვაშტიც მოიპოვებს გათავისუფლებას მანქანის მმართველობისაგან, – თუნდაც დიდი ჭოჭმანის შემდეგ, – თუმცა ამგვარ გამბედაობას იგი გამოამყდავენებს მხოლოდ მაშინ, როცა მანქანა თავად წყვეტს მუშაობას, როცა მანქანა ჩერდება და როცა სხვა გამოსავალი აღარც დარჩენილა.

ამ დროს მისი უეცარი გამჭრიახობის გამოვლინებად ჩანს, რომ ეს ქალი, რომელიც სულ ახლახან გათავისუფლდა მანქანის ბრმა მორჩილებისაგან, გონებრივად თუ სულიერადაც იძენს ახალ ხედვას, როცა მქრქალად გამოთქმულ იმედს, რომ ხმელეთზე გადარჩენილი ადამიანები ხელახლა დაიწყებენ ახალ ცხოვრებას, ოღონდ ამჯერად უმანქანოდ, ვაშტი დაეჭვებით გამოეხმაურება და არ დაუჯერებს ამ მანუგებელ წარმოსახვას, რომ დღეს გაჩერებულ მანქანას ადამიანები მომავალში ისევ არ აამოქმედებენ: „ხვალ რომელიმე ბრიყვი ისევ აამუშავებს მანქანას“ (63), ამბობს იგი.

მანქანის ხელისუფლებისაგან ბევრად ადრე და ნამდვილად თავდალწეული, გათავისუფლებული კუნო დედამისის ამ განსჯას ასე შეეპასუხება: „არა, არასოდეს, – უთხრა მას კუნომ, – არასოდეს. კაცობრიობამ უკვე ისწავლა საკუთარი გაკვეთილის წყალობით“ (63). არ მოიძევება უეჭველი პასუხი, ირონიულია თუ გულწრფელია კუნოს ეს განცხადება, ან კიდევ რამდენად ეთანხმება თავისი პერსონაჟის ასეთ განცხადებას თავად დისტოპიური მოთხრობის ავტორი, რომელმაც, სავარაუდოდ, კარგად იცოდა, რომ ადამიანები საუკუნეების განმავლობაში თითქმის არასოდეს ითვალისწინებენ საკუთარ შეცდომებს და არასოდეს იზღვევენ თავს ამგვარი, – თუნდაც ისტორიული, – შეცდომებისაგან.

თუმცა მაინც რჩება შეკითხვა: ვაშტი მართლაც თავად გამოიხსნის თუ არა თავს მანქანის ძალაუფლებისაგან, ან მისი გაქცევა რამდენად რეალურია, ან, ზოგადადაც, ასე მკაფიოდ ჩამოყალიბებული შეხედულებების ადამიანებს რამდენად დაჰრჩენიათ ძალა თავისუფლების მოსაპოვებლად? სრულიად შესაძლებელია, რომ ნანარმოების დასასრულ ნაჩვენები პერსონაჟის ამგვარი გარდაქმნა მწერლის ოდენ სურვილი იყოს: „ასე მოხდა, რომ მან გააღო თავისი სატუსაღოს კარი და გაიქცა – სულიერად გაიქცა: ყოველი შემთხვევისას, მე ასე მეჩვენება, ჩემი თხრობისას მიწურულისას. ხოლო იმას კი ვერ ნარმოვიდგენ, რომ იგი სხეულებრივად გაიქცა“ (60). ამ დროს, ემოციურად ამ მძაფრ, გარდამტეხ წამს ავტორი თავად, პიროვნულად შემოდის თხრობის მდინარებაში.<sup>17</sup> ნიშანდობლივია, რომ იგი გამოჩნდება მანამდეც, მოთხრობის პირველ სტრიქონებში, როცა იმას, რის გადმოცემასაც აპირებს, საკუთარ განსჯა-განჭვრეტას (“my meditation” – 1) უწოდებს.

თხზულების დამამთავრებელ, მესამე ნაწილში, რომელსაც „უსახლკარონი“ ეწოდება, აღწერილია, თუ როგორ თანდათანობით ნადგურდება მანქანა, ხოლო მისი მიდევნებით, – თუნდაც მიწისქვეშეთის მცხოვრებთათვის თავდაპირველად დაუჯერებლად, – როგორ მოიშლება მანქანის მიერ ჩამოყალიბებული სამყარო. საბოლოოდ, აღმოჩნდება, რომ უსახლკარობა, ანუ გამოძევება სახლ-კარიდან, თავშეუფარებლობა, მიუსაფრობა, რომელიც მანქანის მმართველობის ვითარებაში უსასტიკეს, სასიკვდილო სასჯელად იყო მიჩნეული, თავიანთ სამყოფელში გამოკეტილი ადამიანებისათვის ნამდვილი გათავისუფლების შესაძლებლობა ყოფილა. მაგრამ ადამიანებმა მაინც ვერ შეძლეს, გაეღწიათ იქ, სადაც, – დედამიწის ზედაპირზე, – გაძევება მიჩნეული იყო სასჯელად, თუმცა სწორედ იქ იყო მათი ნამდვილი ხსნა. მანქანის სამფლობელოში, – მიწისქვეშეთში, – დარჩენილები თავიანთი ექვსკუთხედებიდან გამოჭრის შემდეგაც მაინც იღუპებიან: გვირაბში შესულ-შეჯგუფებულებს სიკვდილი წამოენევა, რადგან მათ ვერ შეძლეს, ვერ მოასწრეს მანქანისეული ქვესკნელიდან დედამიწის ზედაპირზე, ცის ქვეშ ამოსვლა.

მოთხრობა ამგვარად მთავრდება: „წამიერად მათ დაინახეს გარდაცვლილ ხალხთა წყება და მანამ, სანამ მათ შეუერთდნენ, თვალი მოჰკრეს კამკამა ცის გაკრთომას“ (63).

წაწარმოების ბოლოს მწერლის მიერ დასახული მომავლის სურათი განმსჭვალულია მწვავე ტრაგიკულობის განცდით, რადგან ილუპება არა მარტო იგი, ვინც ქედს უხრიდა და ეთაყვანებოდა მანქანას, არამედ იგიც, ვინც მანქანის ბატონობიდან გათავისუფლებას, ამ ბატონობის უარყოფას ცდილობდა. იმ საყოველთაო აპოკალიფსური ვითარებისას, რომელიც მოთხრობის დასასრულ გაკრთება, განწირული აღმოჩნდება ყველა: შეგუებულიც და აღტაცებულიც, შეუდრეკელიც და ამბოხებულიც.

ცხადია, რომ ხანგრძლივმა ტექნიკურ-ტექნოლოგიურმა წარმატებებმა, ანუ ეგრეთ წოდებულმა „პროგრესმა“ გააუმჯობესა ადამიანის ყოფითი ცხოვრება, – წარმატებული აღმოჩნდა მცდელობა იმის უზრუნველსაყოფად, რათა ყოველდღიურობა უფრო მეტად შემსუბუქებულიყო სხეულის საჭიროებათა გამო განუწყვეტელი ზრუნვისაგან, მაგრამ, ამავე დროს, ცხადია, რომ ამ წინსვლამ ვერაფერი შესძინა ადამიანის ვერც სულიერ, ვერც ინტელექტუალურ, ვერც ესთეტიკურ, ვერც ემოციურ წინსვლას; არანაირად არ გაზრდილა ადამიანის უნარი, გამოვლენილიყო მეტი სწრაფვა აზრის გასაახლებლად თუ სამყაროს სიღრმისეული არსის ჩასაწვდომად, არც სხვათა გასაგებად და არც სხვათათვის უკეთესი სამსახურის გასაწევად.

პლანეტის მმართველთა მიერ ადამიანებს შორის დამკვიდრებული საყოველთაო შიში დედამიწის ზედაპირის მომაკვდინებელი გარემოს გამო, ასევე, შიში მეორე ადამიანთან შეხვედრისა თუ შეხების გამო და ამ შიშის შედეგად დამყარებული საყოველთაო იზოლაციის მდგომარეობა ედვარდ მორგან ფორსტერმა თავის მოთხრობაში „მანქანა ჩერდება“ აქცია მეტაფორად, რომელიც მეტად შთამბეჭდავი წინასწარმეტყველება აღმოჩნდა, მით უმეტეს, ამჟამინდელი, ოცდამეერთე საუკუნის მესამე ათწლეულის დასაწყისის მცხოვრებთა უჩვეულო და მწარე გამოცდილების გათვალისწინებით.

### შენიშვნები:

1. გამოყენებულია მოთხრობის ბოლო გამოცემა: (Forster 2021); ტექსტი ყველგან დამონშებულია ამ გამოცემის მიხედვით, ნარკვევის ავტორისეული თარგმანით; გვერდები მითითებულია ციტარებისთანავე.

2. ფორსტერის ცხოვრებისა და შემოქმედების მიმოხილვა, მნიშვნელოვნად ღირებული ადრეული ხანის ნაშრომთაგან: (Cavaliero 1986); ბოლო დროის უფრო სიღრმისეულ და ფართო გამოკვლევათაგან: (Bradshaw 2007); ქართულად: (ლალანიძე 2001: 230-239).

3. ფორსტერის ადრეული მოთხრობების, საერთოდ, შესამჩნევი პარაბოლური ხასიათის გამო: (Head 2007: 87).

4. თუმცა საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მოთხრობა უჩვეულოა თავისი შინაარსითაც და გამოხატულებითაც ფორსტერის მთელი პროზაული შემოქმედების თვალსაზრისით. მკვლევრის სიტყვებით, „მანქანა ჩერდება“ ნამდვილად მართო დგას ფორსტერის შემოქმედებაში, და ის ყველაზე არაპირადია [impersonal] მის მოთხრობათა შორის“: (Cavaliero 1986: 50).

5. დისტოპიური შინაარსის მრავალრიცხოვანი ლიტერატურულ-ფილოსოფიური ნაწარმოებების მიმოხილვა: (Booker 1994) (ფორსტერის მოთხრობა „მანქანა გაჩერდა“: p. 149-151); დისტოპიური თემის კვლევითი განხილვა ქართულად: (რატიანი 2005), მონოგრაფია შესულია, ასევე, წიგნში: (რატიანი 2010).

6. ზოგიერთ მკვლევარს უეჭველად მიაჩნია, რომ ზამიატინი ნამდვილად იცნობდა ფორსტერის მოთხრობას: (Booker 1994: 150).

7. “a counterblast to one of the heavens of H. G. Wells” – (Forster 1947: VII – ავტორის წინასიტყვაობა); ფორსტერის გადაძახილის გამო უელსთან, კერძოდ, როგორ ეხმიანება „მანქანა ჩერდება“ უელსის რომანს „დროის მანქანა“: (Beer 2007: 38); როგორ აკრიტიკებს ფორსტერი უელსისეულ ისტორიციზმს თავის ამ მოთხრობაში: (Cavaliero 1986: 52); უელსთან ფორსტერის დისკუსიის შესახებ, აგრეთვე: (Gardner 2002: 26); ქართულად უელსის გამო: (ღალანძიძე 2011: 227-229).

8. საერთოდ, ფორსტერის დამოკიდებულება მოდერნიზმისა და კლასიკური ტრადიციის მიმართ და ეს დამოკიდებულება, ასახული მის რომანებში, ფართოდაა განხილულია წიგნში: (Medalie 2002), თუმცა ამ გამოკვლევაში ნახსენებია კი არაა მოთხრობა „მანქანა ჩერდება“.

9. მწერლის მხრივ ტექნოლოგიურ წარმატებათა მიუღებლობის ლიბერალურ-ჰუმანისტური საფუძვლების გამო: (Elkins 1983: 47-61).

10. გამოთქმულია, ასევე, თვალსაზრისი, რომ მოთხრობაში წარმოსახულია „დედის სამკვიდროდან ძალით გაქცევის ფანტაზია“, რაც თითქოსდა მწერალს თავისი მამაკაცობის დასამტკიცებლად სჭირდებოდა: (Stone 1983: 18). უნდა ითქვას, რომ ამ თვალსაზრისის მიღება შეუძლებლად ჩანს, რადგან ბიოგრაფიულად მწერლის ცხოვრებიდან არ დასტურდება მისი გაქცევის მცდელობა დედისეული სამყაროდან, და არც თვით მოთხრობა გამოხატავს ამგვარ გრძნობებს, რადგან კუნო კი არ გაუზრბის დედას, ვაშტის, არამედ მასთან ერთიანობას ცდილობს, თუნდაც უშედეგოდ, თუმცა მოთხრობის – და მათი სიცოცხლის – დასასრულ ისინი მაინც ერთად აღმოჩნდებიან. საგანგებოდ, ფორსტერის დამოკიდებულების გამო დედამისთან, ლილისთან, აგრეთვე, მწერლის ეროტიკულ მისწრაფებათა შესახებ: (Moffat 2011), (კერძოდ, ედუარდისეული ეპოქის კულტურისათვის ჩვეული ზოგადი „მიზოგინური“ ნიშნების გამო: p. 48).

11. დისტოპიის მკვლევარი ამგვარად აღწერს ფორსტერისეულ მანქანას: „მანქანას ახლა ისე ეთაყვანებიან, თითქოს ის ღმრთაებრივი იყოს“: (Claeys 2017: 334).

12. მითოსისა და მითოსური პერსონაჟების მნიშვნელობის შესახებ ფორსტერის ადრეულ პროზაში და, კერძოდ, მოთხრობაში „მანქანა ჩერდება“: (Herz 1979: 19).



13. ეს სიმბოლიკა ცხადად ჩანს (განსაკუთრებით, სხვა ენათაგან განსხვავებით) ბიბლიური წიგნების ძველ ქართულ თარგმანებში, სადაც ადამიანის მიმართ მოწოდება გამოხატულია იმით, – წმიდა მოციქულ პავლეს წერილში ეფესელთა მიმართ (6:11), – რომ იგი უნდა დაუპირისპირდეს „მანქანებათა მათ ეშმაკისათა“ (ეს თარგმანი და ამგვარი ლექსიკური კავშირი, ბუნებრივია, არანაირად არ ეცოდინებოდა ფორსტერს!), რაც ბერძნულ ორიგინალში, ასე დასტურდება: “πρὸς τὰς μαιδῆϊας τῶν δαιμόνων”; მოთხრობის დაწერისას გავრცელებულ ინგლისურ სტანდარტულ თარგმანში – იაკობისეულ ვერსიაში (The King James Version) – ეს გამოთქმა ამგვარადაა თარგმნილი: “the wiles of the devil”.

14. „თქვენი მამა ეშმაკია, [...] ცრუა იგი და სიცრუის მამაა“ – წმიდა იოანე მოციქულის სახარება, 8:44.

15. თუმცა სადავოდ ჩანს გამოთქმული თვალსაზრისი, რომ „რელიგიას, როგორც ასეთს, მცირე მნიშვნელობა ჰქონდა ფორსტერისათვის“: (Cavaliero 1986: 131), რადგან მის მიერ რელიგიის მიუღებლობა სულაც არ ნიშნავდა, რომ ის მისთვის უმნიშვნელო ან ნაკლებად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო.

16. ფორსტერის ცხოვრებასა და ნაწერებში მოგვიანებით გამკრთალი რელიგიური მუხტის შესახებ: (ლალანიძე 2011: 237-238).

17. შდრ. ავტორის ამგვარივე მოულოდნელი შემოსვლა ტექსტის „ესქატოლოგიური“ დასასრულისას, დისტოპიური სამყაროს არსებობის ამონურვა-დამთავრებისას, ენთონი ბერჯესის რომანში „სანადელი თესლი“. ბერჯესისეული ეს ხერხი განხილულია: (ლალანიძე 2021: 320).

#### დამონებანი:

Beer J. *The Achievement of E. M. Forster* [1962], Tirill: Humanities-Ebooks, 2007.

Booker K. M. *Dystopian Literature: A Theory and Research Guide*, Westport, Connecticut/London: Greenwood Press, 1994.

Bradshaw D. (ed.), *The Cambridge Companion to E. M. Forster*, New York: Cambridge University Press, 2007.

Cavaliero G. *A Reading of E. M. Forster* [1979], London/Basingstoke: The Macmillan Press, 1986.

Claeys G. *Dystopia: A Natural History: A Study of Modern Despotism, Its Antecedents, and Its Literary Diffractions*, Oxford: Oxford University Press, 2017, p. 334.

Elkins C. E. M. Forster's 'The Machine Stops': *Liberal-Humanistic Hostility to Technology*, in: Richard D. Erlich, Thomas P. Dunn (eds.), *Clockwork Worlds: Mechanized Environments in SF*, Westport, Connecticut: Greenwood Press, 1983.

Forster E. M. *The Machine Stops*, New York: [Independently published], 2021.

Forster E. M., *The Collected Tales*, New York: Alfred A. Knopf, 1947.

Gardner P. (ed.), *E. M. Forster: The Critical Heritage* [1973], London/New York: Routledge, 2002.

Ghaghanidze M. “Porst’eris Samts’erlo P’auza”, in: Ghaghanidze M. *Mts’erlis Tskhovreba Droschi da Sitq’vashi: 99 Mtsire da Vrtseli Chanats’eri Utskhoel Mts’eralta Shesakeb*, Tbilisi: Memkvidreoba, 2011

- (ღალანიძე მ. „ფორსტერის სამწერლო პაუზა“, წგ-ში: მერაბ ღალანიძე, *მწერლის ცხოვრება დროში და სიტყვაში: 99 მცირე და ვრცელი ჩანაწერი უცხოელ მწერალთა შესახებ*, თბ.: მემკვიდრეობა, 2011).
- Ghaghanidze M. “Herbert Uelsis Ukhipato Otsnebebi”, in: Ghaghanidze M. *Mts'erlis Tskhovreba Droshi da Sitq'vashi: 99 Mtsire da Vrtseli Chanatseri Utskhoel Mts'eralt'a Shesakeb*, Tb.: Memk'vidreoba, 2011 (ღალანიძე მ. „ჰერბერტ უელსის უნიფათო ოცნებები“, წგ-ში: მერაბ ღალანიძე, *მწერლის ცხოვრება დროში და სიტყვაში*, თბ.: მემკვიდრეობა, 2011).
- Ghaghanidze M. “Evkarist'iuli Sazrdo Entoni Berjesis „Sats'adeli Teslis“ Dist'op'iur Samq'aroshi”, in: Ghaghanidze M. *Lit'erat'ura, K'ult'ura, Religia*, 2/1, Tb.: Sakartvelos P'arlamentis Erovnuli Bibliotek'a, 2021 (ღალანიძე მ. „ეკვარისტოული საზრდო ენთონი ბერჯესის „სანადელი თესლის“ დისტოპიურ სამყაროში“, წგ-ში: ღალანიძე მ. *ლიტერატურა, კულტურა, რელიგია*, 2/1, თბ.: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2021).
- Head D. “Forster and the Short Story”, in: David Bradshaw (ed.), *The Cambridge Companion to E. M. Forster*, New York: Cambridge University Press, 2007.
- Herz J. S. “The Narrator as Hermes: A Study of the Early Short Fiction”, in: G. K. Das, Johe Beer (eds.), E. M. Forster: *A Human Exploration – Centenary Essays*, London/Basingstoke: The Macmillan Press, 1979.
- Medalie D. E. M. *Forster's Modernism*, New York: Palgrave Macmillan, 2002.
- Moffat W. E. M. *Forster: A New Life*, London [a.o]: Bloomsbury, 2011.
- Rat'iani I. *Kronot'op'i Ant'iut'op'iur Romanshi: Eskat'ologiuri Ant'iut'op'iis Int'erp'ret'atsiisavtvis*, Tb.: TSU-s Gam-ba, 2005 (რატიანი ი. *ქრონოტოპი ანტიუტოპიურ რომანში: ესქატოლოგიური ანტიუტოპიის ინტერპრეტაციისათვის*, თბ.: თსუ-ს გამ-ბა, 2005).
- Rat'iani I. *T'ekst'i da Kronot'op'i*, Tb.: TSU-s Gam-ba, 2005, 2010 (რატიანი ი. *ტექსტი და ქრონოტოპი*, თბ.: თსუ-ს გამ-ბა, 2010).
- Stone W., “E. M. Forster's Subversive Individualism”, in: Judith Scherer Herz, Robert K. Martin (eds.), E. M. Forster: *Centenary Revaluations*, London/Basingstoke: Palgrave Macmillan, 1983.

**Merab Ghaghanidze**  
**(Georgia)**

**“The Machine Stops” by Edward Morgan Forster:  
A Human in Dystopian Isolation**

**Summary**

**Key Words:** dystopia, isolation, technology.

“The Machine Stops” (1909), a dystopian short story by Edward Morgan Forster (1879-1970), gives a picture of the future when the people are not allowed to appear on the surface of the Earth and are forced to spend their lives in the isolated rooms under the ground where they are supplied with food, light and distant connection.

The work, on the one hand, is parabolic: it shows the general state of people in the restrictive environment, as well as a personal desire or ability of some people to escape from it, while on the other hand, it describes the writer’s attempt to predict the future technological and political development of civilization: the story written in the early years of the twentieth century, on the one hand, foretells television, cellular phones, internet, skype, social networks, distance meetings, lectures and conferences, and on the other hand, paints the situation, in which a widely held belief that life on Earth is fatal is followed by the permanent worldwide lockdown imposed by the rulers of the planet to ensure the people’s safety as a practical consequence. The only way to save human lives is stringent isolation, which has not only limited, but also abolished all kinds of personal relationships.

Forster vividly and impressively painted the completely controlled environment authoritatively imposed on the people living not on, but inside the Earth, by the invisible government, named as the Central Committee. The fact is, however, that despite the generally and undoubtedly established view, no one really knows what is happening above, in the open air, in the free space, which the government has declared a biologically hazardous place: those living under the ground are totally convinced that they will undoubtedly die if they leave their underground abode, and only few of them seem to question the validity of this belief, and if they do – and they are few disobedient citizens, the most dreadful punishment for them is the expulsion from their permanent residence, the hexagon shaped living space allotted by the authorities, and to the Earth surface, on land under the sky.

The writer sees and paints the picture of the future when the technological progress allowed the ruling powers to satisfy people’s physical needs and ensure their physical safety, what, in fact, was achieved at the cost of a complete control and subordination of daily lives of the citizens.

Forster, unlike his contemporaries, in contrast to the common views of the modernity, is very skeptical about the development of the technological means and does not see it as a viable means to improve the lives or coexistence of people. The story clearly shows that the scientific and technological progress has not contributed to greater freedom, development or spiritual and intellectual growth of people, but has resulted in obedience, restrictions and loneliness.

The story “The machine stops” describes the monotonous life of lonely people sent to live inside the Earth. Their everyday lives are very similar, and the living conditions are the same for all, but it is natural that where everyone has equal rights and equal responsibilities, outstanding human features differentiating one person from another must be neglected. Consequently, the possibility of any different expression has become pointless. The fact is that it is this distinctive expression vividly showing the essence of a man, his core and his personality, which, under the given rule, is completely abolished by completely ignoring individuals, while the collective, unity and people are valued. Such an attitude is demonstrated by the fact that only a general concept of people is universally recognized and established. Naturally, any state system ignoring an individual’s value or uniqueness, gives a decisive value to the unity of citizens and their inseparable integrity. This leads to the demand that all individuals’ ambition or aspiration must follow from that integrity, or the declared needs of the people. It is not accidental that in the final scene of the story, when the catastrophe – the stopping of the machine – is followed by the end of the collective life of the people, who no longer are able to save their lives and, despite their individual efforts, the outcome is unavoidable: the collective life ends with the collective death.

The picture of the future painted by the writer at the end of his work is imbued with a sense of bitter tragedy, as not only those who bowed and worshiped the machine die, but also those who had sought to free themselves from its domination, to renounce it. In the general apocalyptic state that sparkles instantly at the end of the story, everyone is doomed: both, the accustomed and admired, the unwavering and rebellious.

Those loyal to the machine believe that the machine has liberated them from religion, that they, the worshipers of “progress”, have nothing to do with the superstitions of the past, i.e. the religious beliefs as they consider them. In their view, a man’s religiosity is motivated by fear, or even ignorance of the true nature of events, and once that fear is overcome under the protection of the machine, and the universal knowledge is gained and available (at least visually, as distance lectures), there is no place for religion.

However, at the same time, it should be noted that the distinctively reverential attitude of the “underground” inhabitants towards the machine has clearly been transformed into a kind of religious worship, what ultimately ends with the revitali-

zation of the religion, i.e. the establishment of religious respect to the machine. Virtually, the machine has substituted the god, and the belief in God has been substituted by the belief in the machine.

Forster's negative attitude towards religion and religiosity in general is commonly known. The writer believed that his different works clearly give this view: the necessary condition for a person's freedom is the liberation from religion, which is as much manacles to a man as national, ethnic, social, or sexual restrictions. However, the story "The Machine Stops" clearly describes the peril of trying to get detached from the spiritual world by means of a fictitious, technological and invented god, in particular, it tells that in such a case, when a man ignores and loses the real god, he loses both, the other people and his own human properties.

It is clear that long technical and technological achievements, or so-called "progress", have improved people's material lives in the attempt to relieve people from constant bodily concerns, but at the same time, they clearly have not contributed to the people's spiritual, intellectual, aesthetic or emotional development, and there is no man's ability to exert greater efforts to renovate his ideas or to get a deeper comprehension of the universe, to understand the others, or to do better service to others seen.

In his story "The Machine Stops", Edward Morgan Forster metaphorically described the general fear among the people established by the rulers of the planet following the deadly environment of the Earth's surface, as well as the fear of meeting or touching the others and the resultant universal isolation, which turned out to be a very impressive foretelling, particularly in terms of the unusual and bitter experience of the Earth inhabitants in the early third decade of the twenty-first century.